შ.პ.ს. „ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკი“

სამედიცინო მოწყობილობები

სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

CPV კოდი - 33100000

დაფინანსების წყარო: ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

სავარაუდო ღირებულება: 550 (ხუთასორმოცდაათი) ლარი

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ქუთაისი 2014 წელი

1. **ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის:**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო მოცემულია ვებ-გვერდზე: www.procurement.gov.ge

1.2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' მოცემულია ვებ-გვერდზე: www.procurement.gov.ge

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. შესყიდვის ობიექტია სამედიცინო მოწყობილობები: CPV – 331 00000

2.2. საქონლის მოწოდების ვადები და პირობა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, მისამართზე: ქ. ქუთაისი, ვარლამიშვილის ქ #5.

2.3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები:

#	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	სავარაუდო შესასყიდი რაოდენობა
1	სინჯარა Humatube 3 ml K3 EDTA (თავსებადი ჰემატოლოგიურ ანალიზატორთან HUMACOUNT 30ts)	ცალი	100
2	სინჯარა Test tubes for haematological analyses K3 EDTA 1000A 1ml (თავსებადი ჰემატოლოგიურ ანალიზატორთან HUMACOUNT 30ts)	ცალი	1000
3	კიუვეტი 4 წახნაგოვანი (თავსებადი Humalyzer Junior - ზე)	ნაკრები	2
4	კიუვეტი Cuvettes for Humaclot Duo Plus 2X250 (თავსებადიHumaclot Duo Plus - ზე)	შეკვრა	1

2.4. მიწოდებული საქონლის ვარგისიანობის ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები მოწოდების დღიდან.

2.5. შემსყიდველი იტოვებს უფლებას მისაწოდებელი პროდუქტების ჩამონათვალიდან, საჭიროების მიხედვით, შეიძინოს რომელიმე პროდუქტი სავარაუდო შესასყიდ რაოდენობაზე მეტი ან ნაკლები ოდენობით, შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების გაუზრდელად;

2.6. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მოწოდებული საქონლის შესაბამისად, საქონლის მოწოდების დამადასტურებელი დოკუმენტის (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა) წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 60 დღისა;

3. დამატებითი ინფორმაცია

3.1. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

3.2. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში ერთეულის ფასი მოცემული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

3.3. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

3.4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო დოკუმენტაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ან მისი ნდობით აღჭურვილი (სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე) პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

4. პრეტენდენტის მიერ სისტემაში სატენდერო წინადადების სახით ატვირთული უნდა იყოს:

4.1. ფასების ცხრილი და ტექნიკური მახასიათებლები ტექნიკური დოკუმენტაციის დანართი #1–ის მიხედვით;

4.2. პრეტენდენტის რეკვიზიტები დანართი #2 ის მიხედვით

<u>სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა ან/და დაზუსტების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ვარლამიშვილის #5. საკონტაქტო ტელ: ელისო ფანჩულიძე 599973489</u>

ხელშეკრულება # __

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ქ. ქუთაისი ---------- 2014 წელი

ერთი მხრივ, შ.პ.ს.. „ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკი“ (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ლობჟანიძის სახით, და მეორე მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: სამედიცინო მოწყობილობების (შემდგომში საქონელი) შესყიდვა (CPV33100000), წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (SPA_____).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: _____ ლარი;
2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიღება ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 ქ. ქუთაისი. ვარლამიშვილის ქ #5
5.2 მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე
6.2 შემსყიდველი ვალდებულია:
6.2.1 უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
6.2.2 დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;
6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
6.4.1 მიაწოდოს შემსყიდველს, მისი მოთხოვნის შესაბამისად, საქონელი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;
6.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ინსპექტირებას განახორციელებს ----------
7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს;
7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქარტველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტხელო, ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით;
8.2 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ჯამური რაოდენობა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ს შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;
8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით

გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;
9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაჭრის გზები

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ---------- და მოქმედებს ----------

13. მხარეთა რეკვიზიტები

დასახელება: შპს „ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკი“ მისამართი: ქ.ქუთაისი, ვარლამიშვილის ქ N5 საინდიფიკაციო კოდი: 212677566 საბანკო რეკვიზიტები: ბანკი: სს „თიბისი ბანკის“ ქუთაისის ფილიალი, TBCBGE 22 ა/ა : GE39TB0358836080100003 დირექტორი: ნანა ლობჟანიძე	

დანართი №1

ფასების ცხრილი

N	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1					
2					
3					
4					

მთლიანი (საერთო) ღირებულება: _____

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

დანართი №2

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

პრეტენდენტის ხელმოწერა _____